საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990105794277719

№09/94 **14 / იანვარი / 2019 წ.**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გამოგზავნილი თქვენი 2019 წლის 9 იანვრის N6/956 წერილი, რომელიც ეხება დაბა აბასთუმანში, ფალიაშვლის ქ. N40-ში და მის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხს.
როგორც ჩვენ მიერ გამოგზავნილი 2018 წლის 10 სექტემბრის N09/3511 წერილით გეცნობათ, ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას. ამასთან, თქვენი წერილიდან ირკვევა, რომ უძრავი ქონების პრივატიზების ერთ-ერთი პირობაა აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმროს განთავსება, შესაბამისად სანამ სააგენტოში არ იქნება შესათანხმებლად წარმოდგენილი მშენებლობის საკითხი, მანამდე მოკლებული ვართ შესაძლებლობას განვიხილოთ მისი ზემოქმედების შესაძლო შედეგები უძრავ ძეგლთან მიმართებით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი